ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181993078**
თარიღი: **18/07/2018**
ხელმოწერილია ელექტრონულად
პინი: **6744**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
**მისამართი:** შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ასლი:

**ადრესატი:** ტრისტან სულაძე
**პირადი ნომერი:** 01024009204
**მისამართი:** თბილისი ბერბუკის ქ. N 10 ბ. 78

თქვენი 2017 წლის 02 აგვისტოს AR1529680 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულიას ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.004.019, 01.18.09.004.022, 01.18.09.004.023, 01.18.09.004.040, 01.18.09.004.032, 01.18.09.004.021, 01.18.09.004.039, 01.18.09.004.033, 01.18.09.004.033, 01.18.09.004.016, 01.18.09.004.004) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას გაცნობებთ, რომ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით განახორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, რასთან დაკაშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა ფუნქციისა და დანიშნულების მქონე ობიექტები განთავსებულია სპონტანურად, რაც საერთო ჯამში ავტოსადგურზე ქმნის ქაოტურ, მოუწერსიგებელ სიტუაციას. ხშირ შემთხვევაში იკვეთება ფუნქციების კონფლიქტური ურთიერთმიმართება (მაგ: ერთ სივრცეშია თავმოყრილია საზოგადოებრივი კვების ობიექტები, საპარიკმახეროები, ავტო-ტექმომსახურების ობიექტები და ა.შ.), მოუწესრიგებელია მგზავრთა მომსახურება - მოსაცდელებს, ბარგის შემნახველ სივრცეებს და კვების ობიექტებს შორის გაუმართავია ფუნქციური ურთიერთკავშირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტერიტორიაზე ახალი მოცულობების დაგეგმარების უმთავრესი წინაპირობაა არსებული ქაოტური სიტუაციის მოწესრიგება ტერიტორიის რაციონალური გამოყენების მიზნით. ახალი ობიექტების განთავსების საკითხის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიის განვითარების ერთიანი გადაწყვეტის ფარგლებში, რომელშიც ერთ-ერთ ძირითად ორიენტირად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ავტოსადგურის არსებული შენობის მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობა, რათა შემოთავაზებული წინადადებით არ მოხდეს მისი ღირებულების შემცირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოადგინეთ განახლებული საპროექტო წინადადება და შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, სადაც აგრეთვე, გათვალიწინებული იქნება არსებული ფუნქციები, გამოყენებები და მათი რეორგანიზების შესაძლებლობები, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს აღნიშნული ტერიტორიის შემოთავაზებული გადაწყვეტებით განვითარების მიზანშეწონილობას და არსებულ ავტოსადგურზე ზეგავლენის პროგნოზს, მისი გაუმჯობესებისა და მოწესრიგების კუთხით.

აქვე გაცნობებთ, რომ ბენზინგასამართი სადგურის რეკონსტრუქციისას გათვალისწინებული და დაცული იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილება.

გრგ პროექტის დეტალური ხარვეზების დადგენა, ამ ეტაპზე, არ ხდება, ვინაიდან წარმოსადგენია დამატებითი დასაბუთება პროექტის შინაარსობრივ და კონცეპტუალურ გადაწყვეტებთან მიმართებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გრგ-ს ალბომის შემადგენელი ნაწილების ძირითადი გეგმებისა და რუკების ცვლილება.

გაითვალისწინეთ, რომ სრულყოფილი გრგ პროექტის წარმოდგენის შემდგომ საკითხი ასევე განსახილველად გადაიგზავნება ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურებში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით მე-9 მუხლის 5 პუნქტის თანახმად.

**თქვენი მოთხოვნის განხილვაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური. შესაბამისად, გთხოვთ, განახლებული/შეწორებული დოკუმენტაცია წარმოადგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიპტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რუსუდან მირზიკაშვილი

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)